საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA
LEPL OFFICE OF RESOURCE OFFICERS OF EDUCATIONAL INSTITUTIONS

MES 8 19 01678656

09/12/2019

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ბატონ ნიკა ახალბედაშვილს

ბატონო ნიკა,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 12 თებერვლის №13 ბრძანების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი სოფიო აბულაშვილი.

წარმოგიდგენთ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2019 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

ა) სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 16 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში მოთხოვნა არ შემოსულა. მანდატურის სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. ერთ განცხადებაზე მიმდინარეობს წარმოება.
ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა 15 მოთხოვნა, ხოლო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. ერთ განცხადებაზე მიმდინარეობს წარმოება.
გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე შემოვიდა 65 მოთხოვნა.

დ) სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში დასაქმებულის მიმართ არ მომხდარა დისციპლინური სახდელის დადება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებით.
ე) სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.
ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. მანდატურის სამსახურის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა. აქედან გამომდინარე, მანდატურის სამსახურს გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები და მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები არ ჰქონია.

მანდატურის სამსახურის 2019 წლის წლიურ ანგარიშს წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	16
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება	0
საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა, შენახვის და სხვისთვის გადაცემის თაობაზე	65
მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ	0
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0
დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიურ საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0

პატივისცემით,

სსიპ მანდატურის სამსახური
უფროსი
გელაძე გელა